

ინსტრუქცია

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის პირობების შესახებ

მუხლი 1. სწავლის საფასურის ოდენობა

1. კრედიტის ათვისების საფასური ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;
2. სწავლის საფასური არ იცვლება მოცემულ პროგრამაზე სტუდენტის სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში;
3. სწავლის საფასური არ მოიცავს სასწავლო მასალების, სხვადასხვა ფასიანი სერვისების და დიპლომისა და მისი დანართის გაცემის საფასურს.

მუხლი 2. სწავლის საფასურის კორექტირება (შელავათები)

1. საქართველოს ბიზნესის აკადემიის მიერ გაცემული პროფესიული დიპლომის მქონე პირებს სწავლის საფასური უმცირდებათ 20%-ით;
2. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი კოლეჯების მიერ გაცემული დიპლომის მქონე პირებს სწავლის საფასური უმცირდებათ 15%-ით;
3. თუ სტუდენტი არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახიდან, მას სწავლის საფასური უმცირდება 20%-ით;

შენიშვნა: სტატუსი უნდა დადასტურდეს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით. ამ შეღავათით სარგებლობის მიზნებისათვის რეიტინგული ქულა არ უნდა აღემატებოდეს 70 000.

4. სწავლის საფასური კორექტირდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

მუხლი 3. შეღავათების გამოყენება

1. თუ პირს ეკუთვნის ერთდროულად რამდენიმე შეღავათი, გამოიყენება მათ შორის უდიდესი;
2. შეღავათების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის;
3. სტუდენტის მიერ საკონტაქტო საათების 50% ან მეტის გაცდენის ან აკადემიური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში აკადემია იხილავს მინიჭებული შეღავათების გაუქმების საკითხს.
4. შეღავათის გამოყენება დასაშვებია სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში შეღავათით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მიუხედავად წარმოდგენილი დოკუმენტის სახისა, სტუდენტზე შეღავათი არ გავრცელდება იმ სასწავლო წელს. შეღავათით სარგებლობა დასაშვებია მომდევნო სასწავლო წლიდან ზემოაღნიშნული პირობის დაცვით.

მუხლი 4. სწავლის საფასურის განსაზღვრა შეღავათის არსებობის შემთხვევაში

1. სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, სადაც მიეთითება შეღავათის მინიჭების იურიდიული საფუძველი და თანხა ასევე ჩაიწერება კონტრაქტში;
2. დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს თან უნდა დაერთოს შეღავათის გამოყენების დამადასტურებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი ან მისი დამოწმებული ასლი;

მუხლი 5. სწავლის საფასურის გადახდა

1. სწავლის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე;
2. პირველი კურსის პირველ სემესტრზე სწავლის საფასური შენადგენს 30 კრედიტის ღირებულებას;
3. სტუდენტის არასტანდარტული დატვირთვის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება კონტრაქტის დანართის შესაბამისად;
4. სტუდენტს ფინანსური დავალიანება წარმოეშევა სემესტრის დაწყებისთანავე და სწავლის საფასურის დარიცხვა ავტომატურად გრძელდება სტუდენტის სტატუსის შეჩერებამდე ან შეწყვეტამდე. სტუდენტი, რომელიც ადრე წყვეტს სწავლას, ვალდებულია ამის შესახებ ადმინისტრაციაში დაარეგისტრიროს წერილობითი განცხადება. განცხადების დარეგისტრირება წარმოადგენს სწავლის საფასურის დარიცხვის შეწყვეტის საფუძველს.
5. დარიცხული სწავლის საფასურის გაუქმება დაუშვებელია;
6. სწავლის საფასურის გადახდის პირობების დარღვევა წარმოადგენს პირისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველს.

მუხლი 6. სწავლის საფასურის გადახდა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირებისთვის

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირების მიერ აკადემიის სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე მისი მიღების შესაძლებლობის თაობაზე წერილობითი თანხმობის მისაღებად განცხადებას სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა დაურთოს 600 (ექვსასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
2. აკადემიაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გადახდილი თანხა ჩაითვლება სწავლის საფასურში;
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გადახდილი თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას, თუ პირი საკუთარი სურვილით განაცხადებს აკადემიაში სწავლაზე უარს;
4. იმ შემთხვევაში თუ პირს უარი ეთქვა აკადემიაში სტუდენტის სტატუსის მოპოვებაზე, ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გადახდილი თანხა ექვემდებარება დაბრუნებას იმ მომენტისათვის მასზე დარიცხული გადასახადების და თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვით;